



3580303238439

www.info.court.ge

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების შეჩერებაზე
უარის თქმის შესახებ

საქმე №3/6054-17

7 სექტემბერი, 2017 წელი
ქ. თბილისი

**თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია
მოსამართლე ანა ჩხეტია**

შუამდგომლობის ავტორი - შოთა ბუჩუკური

შუამდგომლობის ავტორის მოთხოვნა - ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მოქმედების შეჩერება

მოსარჩელე - შოთა ბუჩუკური

მოპასუხეები - სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

დავის საგანი - ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა

სასამართლომ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა შუამდგომლობა და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

2017 წლის 4 სექტემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში შოთა ბუჩუკურმა სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოსა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიმართ წარმოადგინა სარჩელი, რომლითაც მოითხოვა:

1. სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2016 წლის 23 მარტის №54-04 ბრძანების ბათილად ცნობა;
2. სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2016 წლის 1 დეკემბრის №204-04 ბრძანების ბათილად ცნობა;
3. სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2016 წლის 19 ივლისის №121-04 ბრძანების ბათილად ცნობა
4. სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2016 წლის 7 ოქტომბრის №179-04 ბრძანების ბათილად ცნობა;
5. სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს ზემოაღნიშნულ ბრძანებებზე წარდგენილი ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს უმოქმედობით ნათქვამი უარის ბათილად ცნობა.

სარჩელში დაყენებულ იქნა მოთხოვნა, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მოქმედების შეჩერების თაობაზე.

სასამართლო გაეცნო რა საქმის მასალებს, მიიჩნევს, რომ შუამდგომლობა სადავო ბრძანებების მოქმედების შეჩერების თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის შესაბამისად:

1. სარჩელის მიღება სასამართლოში აჩერებს გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედებას.
2. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედება არ შეჩერდება, თუ:
 - ა) ეს დაკავშირებულია სახელმწიფო ან ადგილობრივი გადასახადების, მოსაკრებლების ან სხვა გადასახდელების გადახდასთან;
 - ბ) აღსრულების გადადება გამოიწვევს მნიშვნელოვან მატერიალურ ზიანს, ან მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის საზოგადოებრივ წესრიგს ან უსაფრთხოებას;
 - გ) იგი გამოცემულია შესაბამისი კანონის საფუძველზე გამოცხადებული საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს;
 - დ) ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებულია წერილობითი დასაბუთებული გადაწყვეტილება დაუყოვნებელი აღსრულების შესახებ, თუ არსებობს გადაუდებელი აღსრულების აუცილებლობა;
 - ე) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი აღსრულებულია ან იგი წარმოადგენს აღმჭურველ აქტს და მისი შეჩერება მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს სხვა პირის კანონიერ უფლებას ან ინტერესს;
 - ვ) ეს გათვალისწინებულია კანონით.

განსახილველ შემთხვევაში გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები არ მიეკუთვნებიან ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის 1-ლი ნაწილით განსაზღვრულ კატეგორიას, რამეთუ წარმოადგენენ აღმჭურველ აქტებს, რომელთა შეჩერება განაპირობებს ზიანს.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ იხელმძღვანელა რა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, მე-2, 29-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-285-ე, 414-416-ე მუხლებით,

და ა დ გ ი ნ ა:

1. შოთა ბუჩუკურის შუამდგომლობა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მოქმედების შეჩერება არ დაკმაყოფილდეს;
2. განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს კერძო საჩივრით თბილისის სააპელაციო სასამართლოში (მდებარე ქ. თბილისი, გ. რობაქიძის ქ. №7ა) თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის (მდებარე ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6) მეშვეობით, მხარისათვის განჩინების ასლის გადაცემიდან 12 დღის ვადაში.